

# სოზარ სუბარი და უკრაინის ვიცე-პრემიერი ხურვალეთში საოკუპაციო ხაზთან ჩავიდნენ

09 ნოემბერი 2017

უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრი პავლო როზენკო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბართან და შიდა ქართლის გუბერნატორის პირველ მოადგილესთან იოსებ ოქრომელიძესთან ერთად, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთს სტუმრობდა. მინისტრები საოკუპაციო ზოლში მცხოვრებ დათა ვანიშვილს გაესაუბრნენ და ადგილზე არსებულ პრობლემებს გაეცნენ. დევნილთა და განსახლების მინისტრმა უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. „ბერლინის კედელი იყო საზღვარი ცივილიზაციასა და ანტიცივილიზაციას შორის, ცივილიზაციასა და ბოროტებას შორის, როგორც დღეს, ეს ხელოვნური ბარიერი არის საზღვარი ცივილიზაციასა და ანტიცივილიზაციას შორის. მჯერა, რომ როგორც ბერლინის კედელი დაინგრა, ისე დაინგრევა ნებისმიერი ასეთი ბარიერი. დღეს, საქართველო და უკრაინა ერთნაირ მდგომარეობაში ვართ, გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები, უკრაინაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს საომარი მოქმედებები. თუმცა, ორი მეგობარი ქვეყნის მტკიცე პოზიცია და საერთაშორისო მხარდაჭერა არის საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა უკრაინის ვიცე-პრემიერს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობთ უკრაინისგან. უკრაინელები იბრძოდნენ ჩვენს გვერდით, როგორც ქართველები იბრძვიან დღეს უკრაინაში და ეს არის საერთო ბრძოლა თავისუფლებისთვის“, - განაცხადა სოზარ სუბარმა. უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრმა პავლო როზენკომ, ე.წ. საზღვრიდან, საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისკენ მოუწოდა. „ის რაც ხდება საქართველოსა და უკრაინაში არის ერთი ადამიანის გაუაზრებელ სურვილს შეწირული უამრავი განადგურებული, დახვრეტილი ადამიანი და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები. ჩვენ დღეს ვიმყოფებით საოკუპაციო ხაზთან, ამის ნახვა შეუძლებელია უკრაინაში, რადგან იქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს საომარი მოქმედებები. ზუსტად გუშინ, უკრაინაში მოკლული იქნა ჯარისკაცი ოკუპანტების მიერ. გამოვთქვამ იმედს, რომ ყველაფერს აქვს დასასრული და აქედან მივმართავ საერთაშორისო თანამეგობრობას, გააძლიერონ ზენოლა რუსეთზე, რათა აღდგეს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“, - განაცხადა პავლო როზენკომ.

უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრის პავლო როზენკოს ოფიციალური ვიზიტი საქართველოში დღეს დასრულდება. ვიზიტის მიზანს, იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.